



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030147797238121

№ 01-461/თ

17 / ნოემბერი / 2021 წ.

**COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში მონოკლონური ანტისხეულების  
„ბამლანივიმები/ეტესევიმები“ გამოყენებისა და განაწილების წესის დამტკიცების  
შესახებ**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „COVID-19-ით დაავადებულ პაციენტებში მონოკლონური ანტისხეულების „ბამლანივიმები/ეტესევიმები“ (შემდგომში - მედიკამენტი) გამოყენების გზამკვლევი“ N1 დანართის შესაბამისად.

2. მედიკამენტის განაწილების წესი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) მედიკამენტით მკურნალობის სქემაში ჩასართავი COVID-19-ით დაავადებული ბენეფიციარების (დამძიმების რისკების მქონე მსუბუქი და საშუალო სიმძიმის არაჟანგბადდამოკიდებული არაჰოსპიტალიზებული პაციენტები) შერჩევა ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს ოჯახის ექიმების (ონლაინ კლინიკების)/კოვიდ-სასტუმროს ექიმების მიერ, გზამკვლევით განსაზღვრული (დანართი N1) რეკომენდაციების გათვალისწინებით;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პაციენტებში მედიკამენტის ინფუზია განხორციელდეს „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამომწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანების მიხედვით COVID-19 სამართავად მობილიზებულ, შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში, N2 დანართის შესაბამისად.

გ) საჭიროების შემთხვევაში, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პაციენტებში მედიკამენტის ინფუზია შესაძლებელია განხორციელდეს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულის გარდა, სხვა მობილიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, განმახორციელებელთან შეთანხმებით;

დ) სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - განმახორციელებელი) უზრუნველყოს მედიკამენტის განაწილება ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებზე, საჭიროების შესაბამისად;

ე) დაუშვებელია კომერციული მიზნით მედიკამენტის რეალიზაცია ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა, მედიკამენტის გადაცემა/დათმობა სხვა პირზე, რაიმე ფორმით მედიკამენტის ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ბოთლის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, ან გაყალბების მცდელობა;


ვ) ამ ბრძანებით განსაზღვრული წესით მედიკამენტის ინფუზიის მიზნით, პაციენტის ტრანსპორტირება ბინიდან/კოვიდ სასტუმროდან სტაციონარში და პირიქით, ხორციელდება ცენტრალური ონლაინ კლინიკის

(1522) ორგანიზებით, ან, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის (საჭიროების შემთხვევაში) დახმარებით.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებამ უზრუნველყოს მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიშის მიწოდება განმახორციელებლისთვის, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული ფორმატისა და ვადების მიხედვით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია   
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე